ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის
სხდომის ოქმი
№39

ქ. თბილისი; 12 თებერვალი, 2019 წ. 13 :00 სთ.

სხდომას ესწრებოდნენ:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრები:

ლევან ჟორჟოლიანი (თავმჯდომარე)
დავით ჭელიძე
ავთანდილ ცინცაძე
თინათინ ნიბლოშვილი
ქეთევან მამულაშვილი
გიორგი ჩაკვეტაძე
ელენე ოზაშვილი
ნინო ლაცაბიძე
ლილე ლიპარტელიანი

მოწვეული პირები:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის - სსიპ ქონების მართვის სააგენტოს იურიდიული და საინვესტიციო პროექტების სამსახურის უფროსი - **ნინო კვეტენაძე**

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე - **ზაზა ცინაძე**

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე - **მაკა ნასრაშვილი**

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსი - **გაიოზ თალაკვაძე**

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე - **ლევან მიქავა**

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უსახლკაროდ რეგისტრაციისა და თავშესაფრით/საცხოვრისით უზრუნველყოფის პროგრამის კოორდინატორი - **ნინო ლომინაძე**

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის იურისტი - **ნუცა ცქიტიშვილი**

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის უფროსი - **ვასილ აბულაძე**

სხდომის თავმჯდომარე:

ლევან ჟორჟოლიანი
იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის
კომისიის თავმჯდომარე

დღის წესრიგი

1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უსახლკაროდ რეგისტრაციისა და თავშესაფრით/საცხოვრისით უზრუნველყოფის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.
2. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 28 დეკემბრის №35-118 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.
3. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის პროგრამებისა და ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.
4. „ქალაქ თბილისში, ვარკეთილის მე-3 მასივში, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე საცხოვრებელი დანიშნულების შენობა-ნაგებობებისა და შესაბამისი ინფრასტრუქტურის მშენებლობის მიზნით უძრავი ქონების პრივატიზების თაობაზე ინტერესთა გამოხატვის პირობების მოწონების

შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

5. “ქალაქ თბილისში, ვარკეთილი 3-ის დასახლების I მიკრო/რაიონში, მაგისტრალის დასაწყისის შუა ზოლში მდებარე 3123 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ: N01.19.20.001.138) გაცვლის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

6. “ქალაქ თბილისში, დასახლება ლილო, მიკრორაიონი I, კორპუს N12-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.27.008.005.01.123) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

7. “ქალაქ თბილისში, აკაკი ბელიაშვილის ქუჩა, მე-2 ჩიხი N10-ში (საკადასტრო კოდი: N01.13.01.006.008) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

8. „ქალაქ თბილისში, გლდანში, გიორგიწმინდას დასახლებაში არსებული 600 კვ. მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ: #72.13.03.588) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

9. „ქალაქ თბილისში, ლეხ კაჩინსკის ქუჩა N13-ში (საკადასტრო კოდები: N01.17.13.022.003.01.521 და N01.17.13.022.003.01.522) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

10. „ქალაქ თბილისში, ლესელიძის ქუჩა N43-ის მიმდებარედ არსებული 244 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (ს/კ: №01.18.03.065.033) 6 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით ლალი გოჩიტაშვილისთვის (პ/ნ: 01006019038) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

11. „ქალაქ თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირი N9-25ის მიმდებარედ არსებული 173 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან (ს/კ: N01.16.05.031.029) 9 კვ.მ მიწის ნაკვეთის ლევან ლიპარტელიანისთვის (პ/ნ: 53001011062) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

12. „ქალაქ თბილისში, ალეკო გობრონიძის ქუჩა N10-ის მიმდებარედ 128 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: N01.11.13.002.251) 29 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „სამშობლოსთვის“ (ს/ნ 404984228) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 7 დეკემბრის N338

განკარგულების ძალადაკარგულად გამოცხადების და ქალაქ თბილისში, ალეკო გობრონიძის ქუჩა N10-ის მიმდებარედ არსებული 128 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: N01.11.13.002.251) 14 კვ.მ საერთო ფართობის მიწის ნაკვეთების პირდაპირი განკარგვის წესით შპს „სამშობლოსთვის" (ს/ნ 404984228) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

13. "ქალაქ თბილისში, დ. აღმაშენებლის გამზირი № 31-41-ის მიმდებარედ არსებული 193 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან (ს/კ: №01.16.05.026.024) 15 კვ.მ. მიწის ნაკვეთის შპს „სთარ"-ისთვის (ს/ნ: 406178381) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

14. „კომერციულ ბანკში საკრედიტო ხაზის გახსნის მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობისათვის თანხმობის მიცემის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

15. „საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტს და შპს „თბილსერვის ჯგუფს" შორის „თბილისის მყარი ნარჩენების პროექტთან დაკავშირებით" ქვესასესხო ხელშეკრულების გაფორმებაზე თანხმობის მიცემის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

16. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 იანვრის N10-14 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

17. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულების საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 იანვრის #10-19 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

18. "საქართველოს დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში მსუბუქი ავტომობილით – ტაქსით (M_1 კატეგორია) გადაყვანის სანებართვო პირობების, ნებართვის გაცემის წესის, ნებართვის მოქმედების ვადის, ნებართვის გაცემის ფასისა და მისი გადახდის წესის, სანებართვო მოწმობის ფორმის, ნებართვის მქონე პირების შესახებ ერთიანი საინფორმაციო ბაზის შექმნის, განახლების და დამუშავების წესის განსაზღვრის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 27 ივლისის №24-80 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე დადგენილების პროექტი.

19. „საქართველოს დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში მსუბუქი ავტომობილით – ტაქსით (M1 კატეგორია) გადაყვანის სანებართვო პირობების, ნებართვის გაცემის წესის, ნებართვის მოქმედების ვადის, ნებართვის გაცემის ფასისა და მისი გადახდის წესის, სანებართვო მოწმობის ფორმის, ნებართვის მქონე პირების შესახებ ერთიანი საინფორმაციო ბაზის შექმნის, განახლების და დამუშავების წესის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 27 ივლისის №24-80 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 7 დეკემბრის №32-110 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა გახსნილად გამოაცხადა და დამსწრე წევრებს დასამტკიცებლად წარუდგინა იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომის დღის წესრიგის პროექტი.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის მიერ ერთხმად იქნა დამტკიცებული სხდომის დღის წესრიგი.

მოისმინეს:

1. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უსახლკაროდ რეგისტრაციისა და თავშესაფრით/საცხოვრისით უზრუნველყოფის პროგრამის კოორდინატორმა - **ნინო ლომინაძემ** სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უსახლკაროდ რეგისტრაციისა და თავშესაფრით/საცხოვრისით უზრუნველყოფის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

მომხსენებლის განმარტებით, წარმოდგენილი დადგენილების პროექტით მტკიცდება **„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უსახლკაროდ რეგისტრაციისა და თავშესაფრით/საცხოვრისით უზრუნველყოფის წესი“** ასევე, ძალადაკარგულად ცხადდება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 27 ნოემბრის **N28-116** დადგენილება.

მომხსენებლის თქმით, ზემოაღნიშნულ წესს ემატება მე-2 მუხლი, სადაც განმარტებულია წესში გამოყენებული ტერმინები. აგრეთვე, აღნიშნული წესი ყალიბდება განსხვავებული სტრუქტურით, კერძოდ, ცალ-ცალკე მუხლებში წესრიგდება ერთი მხრივ, **უსახლკარო პირად** რეგისტრაციისა და თავშესაფრით უზრუნველყოფის პროცედურა და შესაბამისი კრიტერიუმები და მეორე მხრივ, **უსახლკარო ოჯახად** რეგისტრაციისა და საცხოვრისით უზრუნველყოფის პროცედურა, ასევე შესაბამისი კრიტერიუმები.

როგორც **მომხსენებელმა** განმარტა, აღნიშნული წესის თანახმად, უსახლკარო სტატუსის მაძიებელი პირის უსახლკაროდ რეგისტრაციისათვის სავალდებულოა, რომ კომისიის მიერ, პირის შესახებ ინფორმაციის მოძიებამდე ბოლო 2 (ორი) წლის განმავლობაში პირი იყოს საქართველოს მოქალაქე, უწყვეტად და ამავდროულად, უსახლკარო პირის სტატუსის მინიჭების მომენტისათვის რეგისტრირებული ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე. ასევე, პირის უსახლკაროდ რეგისტრაციისათვის აუცილებელია, რომ ის იყოს სრულწლოვანი.

მომხსენებელმა ასევე განმარტა, რომ წარმოდგენილი პროექტის მიხედვით, განისაზღვრა უსახლკარო პირად რეგისტრაციისა და თავშესაფრით უზრუნველყოფის პროცედურა, ასევე იმ დოკუმენტაციის ჩამონათვალი, რომელთა წარმოდგენაც აუცილებელია უსახლკაროდ რეგისტრაციისათვის.

ნინო ლომინაძის თქმით, პირის უსახლკაროდ რეგისტრაცია ასევე უკავშირდება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსგან მიღებულ ინფორმაციას, რომლის თანახმად, პირს არ გააჩნია საკუთრებაში მექანიკური სატრანსპორტო საშუალება, ხოლო მექანიკური სატრანსპორტო საშუალების საკუთრების არსებობის შემთხვევაში, კომისიის მხრიდან გადაწყვეტილება მიიღება ავტომობილის მარკის, გამოშვების წლისა და მოდელის გათვალისწინებით.

როგორც **ნინო ლომინაძემ** განაცხადა, უსახლკაროდ რეგისტრაციისათვის აუცილებლად დასაკმაყოფილებელ კრიტერიუმს დაემატა პირის/ოჯახის თითოეული უმუშევარი წევრის რეგისტრაცია სამუშაოს მაძიებლად შრომის ბაზრის მართვის საინფორმაციო პორტალზე, ხოლო, პირის/ოჯახის უმუშევარი წევრის მიერ ამ პროფილის გაუქმება წარმოადგენს უსახლკაროდ რეგისტრაციის გაუქმების საფუძველს. ასევე, უსახლკარო პირად/ოჯახად რეგისტრაციის კრიტერიუმებში დაკონკრეტდა პირის/ ოჯახის წევრების საცხოვრებელ სადგომზე უფლების არ ქონის კრიტერიუმები.

ნინო ლომინაძის განმარტებით, უსახლკარო სტატუსის მაძიებელი პირის/ოჯახის წევრთა მიერ, უსახლკაროდ რეგისტრაციისათვის დასაშვები სახელმწიფო საზღვრის კვეთა შემცირდა საზღვრის 2-ჯერ გადაკვეთამდე და განისაზღვრა, რომ საზღვრის 2-ზე მეტჯერ გადაკვეთა არ მიიღება მხედველობაში თუ ეს განპირობებული იყო უსახლკარო სტატუსის მაძიებელი პირის/ოჯახის წევრის ჯანმრთელობასთან დაკავშირებული შემთხვევებით ან მესამე პირის მიერ დაფინანსებულ სასწავლო პროგრამებში ჩართვის მიზნით.

ნინო ლომინაძემ ასევე განმარტა, რომ წარმოდგენილი დადგენილების პროექტით, გარკვეული ცვლილება შედის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უსახლკაროდ რეგისტრაციისა და თავშესაფრით/საცხოვრისით უზრუნველყოფის პროცედურაში. კერძოდ, ყველა პირს, ვინც რეგისტრირებულია უსახლკაროდ და წარმოადგენს ერთსულიან ოჯახს, მიუხედავად შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის სტატუსისა შეეთავაზება თავშესაფარი. ასევე, წესში დეტალურად გაიწერა და ჩამოყალიბდა იმ ოჯახის ვალდებულებები, რომლებიც ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის გადაწყვეტილებით დაკმაყოფილდებიან საცხოვრისით.

მომხსენებლის თქმით, დაზუსტდა და გაიწერა, რომ კომისიის მიერ **თავშესაფრით** უზრუნველყოფის შესახებ რეკომენდაციის მიღების შემთხვევაში, პირი თავშესაფრით კმაყოფილდება 18 (თვრამეტი) თვის ვადით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის უფროსის ბრძანების საფუძველზე. ასევე, ბენეფიციარის მოთხოვნის შესაბამისად, კომისიის რეკომენდაციის საფუძველზე, ბენეფიციარისთვის **თავშესაფარში** განთავსების ვადის თვრამეტი თვით გაგრძელების ან ვადის არ გაგრძელების შესახებ **გადაწყვეტილების მიმღებ პირად განისაზღვრა სამსახურის უფროსი.**

ნინო ლომინაძის თქმით, წარმოდგენილი პროექტით, იცვლება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უსახლკაროდ რეგისტრაციის შესახებ განაცხადის ფორმა. აგრეთვე, დგინდება თავშესაფრითა და საცხოვრისით სარგებლობის უფლების შეწყვეტის საფუძვლები.

დასასრულს, **მომხსენებელმა** აღნიშნა, რომ აღნიშნული პროექტის მიღება არ გამოიწვევს დამატებითი ხარჯების გამოყოფას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტიდან.

აზრი გამოთქვეს:

კომისიის წევრმა, ნინო ლაცაბიძემ, მიმართა მერიის წარმომადგენლებს და განაცხადა, რომ პირმა, რომელსაც სურს მოხვდეს თავშესაფარში, უნდა დააკმაყოფილოს წესში გაწერილი კრიტერიუმები, ასევე, გაიაროს უსახლკარო პირად რეგისტრაციის და თავშესაფრით უზრუნველყოფის პროცედურები, მაშინ როდესაც, ნებისმიერ მიუსაფარ პირს აქვს შესაძლებლობა, აღნიშნული პროცედურების გვერდის ავლით, დამოუკიდებლად მივიდეს და ხელშეკრულების საფუძველზე მიიღოს თავშესაფარი.

ნინო ლაცაბიძემ გამოთქვა მოსაზრება, უსახლკარო პირად რეგისტრაციისა და თავშესაფრით უზრუნველყოფის პროცედურის გამარტივებასთან დაკავშირებით, რათა ყველა მიუსაფარი პირი, გამარტივებული გზით მოხვდეს თავშესაფარში.

ნუცა ცქიტიშვილმა უპასუხა ქალბატონ ნინოს და განმარტა, რომ თავშესაფარში პირი უნდა მოხვდეს წესში გაწერილი პროცედურების დაცვით, გარდა, გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევებისა, როდესაც პირის სიცოცხლე იმყოფება საფრთხის ქვეშ. ნუცა ცქიტიშვილის თქმით, აღნიშნული პროცედურები მნიშვნელოვანია ბენეფიციართა აღრიცხვისა და გადამოწმებისათვის,

ქალბატონმა ნუცამ დასძინა, რომ უსახლკარო პირად რეგისტრაციის შესახებ განაცხადის წარდგენისას, მოქალაქეები ინფორმირებულები არიან თავშესაფარში მოხვედრის ალტერნატიულ გზებზე, თუმცა, როგორც წესი, უსახლკარო სტატუსის მაძიებელი პირები უსახლკარო პირებად რეგისტრირდებიან წესში გაწერილი პროცედურების გავლით და ითხოვენ უსახლკარო პირის სტატუსის მინიჭებას. ქალბატონი ნუცას თქმით, აღნიშნულ სტატუსს ისინი იყენებენ სხვადასხვა მიზნებისათვის.

ნინო ლაცაბიძემ ასევე გამოთქვა მოსაზრება იმის თაობაზე, რომ თავშესაფრით უზრუნველყოფისთვის, უსახლკარო პირად რეგისტრირებული პირებისათვის კომისიის

მიერ ქულათა მინიჭების სისტემით განსაზღვრულ პრიორიტეტულ ჯგუფს ერთ-ერთ კრიტერიუმად დაემატოს ბავშვთა სახლში გაზრდილი, სრულწლოვანებას მიღწეული პირები. **ნინო ლაცაბიძის** თქმით, აღნიშნული ინიციატივა შესაძლებელია განხილულ იქნეს, როგორც სახელმწიფო პროგრამის გაგრძელება სოციალური ხაზის მიმართულებით.

ნუცა ცქიტიშვილმა განმარტა, რომ მას შემდგომ, რაც სრულწლოვანებას მიღწეული პირი დატოვებს ბავშვთა სახლს, მას, როგორც მიუსაფარ პირს, ემლევა შესაძლებლობა დარეგისტრირდეს უსახლკარო პირად, ხოლო ყველას, ვინც დარეგისტრირებულია აღნიშნული სტატუსით შეეთავაზება თავშესაფარი.

მერიის წარმომადგენლებმა გაიზიარეს ნინო ლაცაბიძის მოსაზრება, თავშესაფრით უზრუნველყოფისთვის, კომისიის მიერ ქულათა მინიჭების სისტემით განსაზღვრულ პრიორიტეტულ ჯგუფში, ერთ-ერთ კრიტერიუმად დაემატოს, ბავშვთა სახლში გაზრდილი, სრულწლოვანებას მიღწეული პირები.

დასასრულს, **კომისიის თავმჯდომარემ** მოახდინა წარმოდგენილი საკითხის ირგვლივ გამართული მსჯელობის რეზიუმირება. ბატონი ლევანი დადებითად გამოეხმაურა ნინო ლაცაბიძის მხრიდან გაჟღერებულ მოსაზრებას - უსახლკარო პირად რეგისტრაციისა და თავშესაფრით უზრუნველყოფის პროცედურის გამარტივებასთან დაკავშირებით. კომისიის თავმჯდომარე ასევე დადებითად გამოეხმაურა ქულათა მინიჭების სისტემით განსაზღვრულ პრიორიტეტულ ჯგუფში, ერთ- ერთ კრიტერიუმად, ბავშვთა სახლში გაზრდილი, სრულწლოვანებას მიღწეული პირების დამატების საკითხს.

ლევან ჟორჟოლიანმა გამოთქვა მზადყოფნა, გაჟღერებულ საკითხებთან დაკავშირებული მსჯელობა გაგრძელდეს სამუშაო ჯგუფის ფარგლებში, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ ერთი მხრივ, მერიის წარმომადგენლები, ხოლო მეორე მხრივ, იურიდიულ საკითხთა და ადამიანი უფლებათა დაცვის კომისიის წევრები, რომლებიც ამავდროულად არიან ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის წევრებიც.

კომისიის წევრი - **დავით ჭელიძე** დაინტერესდა იმის თაობაზე, თუ რამდენი ადამიანის მიღება არის შესაძლებელი ერთდროულად საცხოვრისში.

ნინო ლომინაძის განცხადებით, დღეის მდგომარეობით, დაახლოებით 100 (ასი) პირი იმყოფება დიდ დიღომში არსებულ 24 (ოცდაოთხი) ბინიან საცხოვრისში. ქალბატონი ნინოს თქმით, უსახლკაროდ რეგისტრაციისა და თავშესაფრით/საცხოვრისით უზრუნველყოფის პროგრამის ფარგლებში, ვარკეთილში მდებარეობს 52 (ორმოცდათორმეტი) ბინიანი, ხოლო, ორხევში 75 (სამოცდათხუთმეტი) ბინიანი საცხოვრისები.

კომისიის თავმჯდომარის თქმით, მიზანშეწონილია წარმოდგენილი დადგენილების პროექტის პრეამბულაში სამართლებრივ საფუძვლად ასევე მიეთითოს საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტი.

ამასთან, **კომისიის თავმჯდომარემ** მიუთითა, რომ დადგენილების პროექტის მე-2 მუხლში სწორი ფორმით მიეთითოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის

27 ნოემბრის N28-116 დადგენილება და დადგენილების მე-2 მუხლი ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით.

ასევე, **ლევან ჟორჟოლიანის** მითითებით, წარმოდგენილი წესის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტები უნდა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

> ა) **განაცხადი** - ამ დადგენილების პირველი მუხლის „ბ“ და „გ“ პუნქტებით დამტკიცებული განაცხადის ფორმები“ (შემდგომში - განაცხადი);
>
> ბ) **კომისია** - ამ წესის განხორციელების მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობა ქმნის „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის უსახლკაროდ რეგისტრაციისა და თავშესაფრით/საცხოვრისით უზრუნველყოფის კომისიას“ (შემდგომში - კომისია) და ამტკიცებს მის დებულებას.

კომისიის თავმჯდომარის თქმით, სასურველია მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტსა და მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტში გარკვევით მიეთითოს 2 წლიანი ვადის გავრცელების თაობაზე.

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ წევრმა - **ლილე ლიპარტელიანმა.**

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი დადგენილების პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის იურისტმა - **ნუცა ცქიტიშვილმა** სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 28 დეკემბრის №35-118 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

როგორც **მომხსენებელმა** განმარტა, წარმოდგენილი პროექტის თანახმად, ცვლილება ხორციელდება **„აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა რეაბილიტაციის ქვეპროგრამის განხორციელების წესში“**, რომლის თანახმად, იზრდება ქვეპროგრამის ფარგლებში თვეში დასაფინანსებელ **ბენეფიციართა რაოდენობა** და ნაცვლად **850 (რვაას ორმოცდაათი)** ბენეფიციარისა, დაფინანსება განისაზღვრება - **არაუმეტეს 1000 (ათასი)** ბენეფიციარისთვის.

მომხსენებლის თქმით, აღნიშნული ქვეპროგრამის დაფინანსება გათვალისწინებულია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტით.

აზრი გამოთქვეს:

ფრაქციის „ევროპული საქართველო-თბილისი“ წევრმა - ელენე ოზაშვილმა, ხაზი გაუსვა წარმოდგენილი საკითხის მნიშვნელობას. ქალბატონმა ელენემ, თავისი ფრაქციის სახელით მადლობა გადაუხადა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერს, მერის მოადგილეს - სოფო ხუნწარიასა და მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის უფროსს - გელა ჩივიაშვილს, ფრაქციის მხრიდან გაჟღერებული ინიციატივის გაზიარებისათვის,

კომისიის წევრები ერთხმად შეუერთდნენ ქალბატონი ელენეს პოზიციას - გამოთქმულს, თბილისის მერისა და მერიის წარმომადგენლებთან მიმართებაში.

კომისიის თავმჯდომარის - ლევან ჟორჟოლიანის თქმით, მიზანშეწონილია წარმოდგენილი დადგენილების პროექტის სამართლებრივ საფუძვლებში მიეთითოს: საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტი.

ასევე, კომისიის თავმჯდომარის თქმით, წარმოდგენილი დადგენილების პროექტის პირველ მუხლში უნდა გასწორდეს ტექნიკური ხარვეზები და პირველ მუხლი ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი დადგენილების პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

3. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილემ - ზაზა ცინაძემ სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის პროგრამებისა და ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

მომხსენებლის თქმით, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის პროგრამებისა და ქვეპროგრამების განხორციელების წესები“ განსაზღვრავს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული შემდეგი პროგრამებისა და ქვეპროგრამების განხორციელების წესს და პროცედურებს:

პროგრამები:

- ✓ „კულტურის სფეროს განვითარების ხელშეწყობა“
- ✓ „შემოქმედებითი თბილისი“
- ✓ „ინკლუზიური ხელოვნების და განათლების ხელშეწყობა“
- ✓ „პროფესიული განათლების და დასაქმების ხელშეწყობა“

ქვეპროგრამები:

- ✓ „ზოგადი განათლების და სასკოლო პროექტების ხელშეწყობა“
- ✓ „უწყვეტი განათლების და სტუდენტური პროექტების ხელშეწყობა“
- ✓ „სპორტული ღონისძიებები“
- ✓ „ახალგაზრდული ღონისძიებების ხელშეწყობა“

მომხსენებლის განმარტებით, წარმოდგენილი დადგენილების პროექტის შემუშავება განაპირობა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებულ ზოგიერთ პროგრამაში ცვლილებამ, კერძოდ:

- ✓ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებულ პროგრამას - „კულტურის ღონისძიებები“ შეეცვალა სახელი და დაერქვა - „კულტურის სფეროს განვითარების ხელშეწყობა“.
- ✓ პროგრამას - „ინკლუზიური ხელოვნების ხელშეწყობა“ შეეცვალა სახელი და დაერქვა - „ინკლუზიური ხელოვნების და განათლების ხელშეწყობა“.
- ✓ პროგრამას - „პროფესიული და ზრდასრულთა განათლების განვითარების ხელშეწყობა“ შეეცვალა სახელი და დაერქვა - „პროფესიული განათლების და დასაქმების ხელშეწყობა“.
- ✓ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებულ ქვეპროგრამას - „ინტელექტუალური, საგანმანათლებლო და შემეცნებითი პროექტების ხელშეწყობა“ შეეცვალა სახელი და დაერქვა - „ზოგადი განათლების და სასკოლო პროექტების ხელშეწყობა“.
- ✓ ქვეპროგრამას - „უწყვეტი განათლების სისტემის განვითარების ხელშეწყობა“ შეეცვალა სახელი და დაერქვა - „უწყვეტი განათლების და სტუდენტური პროექტების ხელშეწყობა“ .

ზაზა ცინაძემ ასევე განმარტა, რომ ზემოაღნიშნული წესების მიხედვით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის/მერის მიერ შექმნილი კომისიები განიხილავენ სამსახურში შესულ განცხადებებს და დადებითი შეფასების შემთხვევაში იღებენ გადაწყვეტილებას დაფინანსების შესახებ, თუ საპროექტო განაცხადით მოთხოვნილი თანხა არ აღემატება 20 000 ლარს. თუ მოთხოვნილი თანხა აღემატება 20 000 ლარს, პროექტი დადებითი გადაწყვეტილების შემთხვევაში განსახილველად წარედგინება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას.

ზაზა ცინაძის თქმით, პროექტზე თანდართული წესის (დანართი 1) ახალი რედაქციით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პროგრამაში - „კულტურის სფეროს განვითარების ხელშეწყობა“ განისაზღვრა 5 ძირითადი მიმართულება. ასევე, აღნიშნულ პროგრამას დაემატა ახალი მიმართულება „თბილისის ცის ქვეშ“, რომელიც გულისხმობს ღია სივრცეში სხვადასხვა ტიპისა და შინაარსის ღონისძიებების განხორციელებას. წესის ძველ რედაქციაში მითითებული იყო, რომ თუ პროექტის განხორციელებამდე დარჩენილი იყო 40 კალენდარულ დღეზე ნაკლები საპროექტო განაცხადი არ განიხილებოდა. წესის ახალი რედაქციით აღნიშნული ვადა შემცირდა 20 დღემდე.

მომხსენებლის განმარტებით, ზემოაღნიშნული წესის ახალი რედაქციის მიხედვით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პროგრამას „ინკლუზიური ხელოვნების და განათლების ხელშეწყობა“ დაემატა ინკლუზიური განათლების მიმართულება. ასევე, წესის ახალი რედაქციის მიხედვით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პროგრამით - „შემოქმედებითი თბილისი“ საპროექტო განაცხადები მიიღება კონკურსის წესით, რომელიც გამოცხადდება წელიწადში არანაკლებ ორჯერ.

ბატონმა ცინაძემ განმარტა, რომ პროექტზე თანდართული წესის (დანართი 2) ახალი რედაქციით, დაფინანსების მიმღები სუბიექტები შეიძლება იყვნენ კანონმდებლობით დადგენილი წესით საქართველოში რეგისტრირებული საჯარო სამართლის იურიდიული პირები ან არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირები. აღნიშნული წესის ძველ რედაქციაში დაფინანსების მიმღები სუბიექტები შეიძლება ყოფილიყვნენ ქალაქ თბილისში რეგისტრირებული იურიდიული პირები.

მომხსენებელმა ასევე განმარტა, რომ იგივე წესის ახალი რედაქციის მიხედვით, საპროექტო განაცხადის ფორმა არ ივსება იმ შემთხვევებში, როდესაც მოთხოვნილია დაფინანსება ევროპის და მსოფლიო ჩემპიონატებში და ოლიმპიურ თამაშებში პრიზიორების დაჯილდოებისათვის, სპორტული ორგანიზაციების სპორტული ინვენტარითა და ეკიპირებით უზრუნველყოფისათვის, ასევე, კომუნალური გადასახადების დაფარვისთვის. წესის ძველი რედაქცია არ ითვალისწინებდა კომუნალური გადასახადების დაფარვისთვის თანხის გამოყოფას საპროექტო განაცხადის ფორმის წარდგენის გარეშე.

ზაზა ცინაძის თქმით, დანართი 2-ით წარმოდგენილი წესის ახალი რედაქციით გათვალისწინებულია, მსოფლიო და ევროპის ჩემპიონატებში და ოლიმპიურ თამაშებში მიღწეული წარმატებისთვის ქალაქ თბილისში ყოველი წლის პირველი იანვრისთვის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში განცხადების შეტანის დღისთვის უწყვეტად რეგისტრირებული სპორტსმენების დაჯილდოება.

დასასრულს, ბატონმა ცინაძემ აღნიშნა, რომ წარმოდგენილი დადგენილების პროექტით ძალადაკარგულად ცხადდება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 6 მარტის N15-47 დადგენილება. ასევე, წარმოდგენილი პროექტის მიღება არ გამოიწვევს დამატებითი ხარჯების გამოყოფას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტიდან.

აზრი გამოთქვეს:

კომისიის თავმჯდომარემ განმარტა, რომ პროექტზე თანდართული დანართი 1-ით წარმოდგენილი წესის ახალ რედაქციაში, მე-4 მუხლის მე-3 პუნქტში იკითხება ჩანაწერი, რომლის მიხედვით, ქალაქ თბილისში გასამართი საერთაშორისო და ეროვნული პროექტი (ღონისძიება) კომისიას განსახილველად წარედგინება, თუ საპროექტო განაცხადით და შესაბამისი დოკუმენტაციით დასტურდება სხვა წყაროს მიერ პროექტის (ღონისძიების) თანადაფინანსება.

როგორც **თავმჯდომარემ** განმარტა, აღნიშნული წესის ძველ რედაქციაში, სხვა წყაროს მიერ პროექტის (ღონისძიების) თანადაფინანსება განისაზღვრებოდა პროექტის ღირებულების არანაკლებ 50 %-ის ოდენობით. ბატონი ლევანი დაინტერესდა, რატომ გაუქმდა თანადაფინანსებისთვის განსაზღვრული 50 %-იანი ბარიერი და გამოთქვა მოსაზრება იმის თაობაზე, რომ წესის ახალ რედაქციაში არსებული ჩანაწერი ბუნდოვანია და შესაძლოა წარმოშვას პრობლემები აღსრულების ნაწილში.

ბატონმა ლევანმა იქვე დასძინა, რომ სასურველია აღნიშნული გამოსწორდეს და პრაქტიკის გათვალისწინებით დაწესდეს თანადაფინანსებისთვის განკუთვნილი გონივრული ზღვარი.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილემ, კულტურის მიმართულების კურატორმა - **მაკა ნასრაშვილმა** განაცხადა, რომ აღნიშნული ცვლილება განხორციელდა მერის მოადგილის ინიციატივით. ქალბატონმა მაკამ აღნიშნული ცვლილების მიზეზად შემოსული პროექტების 20%-იანი ან/და 25%-იანი თანადაფინანსება დაასახელა.

მაკა ნასრაშვილმა იქვე დასძინა, რომ აღნიშნული რეკომენდაციის განხილვის მიზნით, გამართავს მოლაპარაკებას მერის მოადგილესთან.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარის მითითებით, პროექტით წარმოდგენილი **დანართის 1-ის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტში უნდა გასწორდეს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამების დასახელებები** და აღნიშნული პუნქტი ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით.

ასევე, **დანართი 2-ის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტში უნდა გასწორდეს ტექნიკური ხასიათის ხარვეზი** და **აღნიშნული პუნქტი ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით.**

ამასთან, **ლევან ჟორჟოლიანის** თქმით, დანართი 1-ის მე-3 მუხლის მე-8 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის მიხედვით, ამ მუხლის მე-8 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტით განსაზღვრული ვადის გასვლის შემდეგ, საკონკურსო განაცხადები აღარ **მიიღება/განიხილება.** კომისიის თავჯდომარის მითითებით უმჯობესია სიტყვა „**განიხილება**“-ს ამოღება, ვინაიდან ვადის ამოწურვის შემდეგ განცხადების მიუღებლობა, თავისთავად შეუძლებელს გახდის მის განხილვასაც.

კომისიის თავმჯდომარის თქმით, დანართი 1-ის **მე-4 მუხლის მე-12 პუნქტში** საპროექტო განაცხადთან ერთად უნდა მიეთითოს **საკონკურსო განაცხადიც** და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,12 შენიშვნის არსებობის შემთხვევაში კომისია უფლებამოსილია განმცხადებელს მოსთხოვოს შესწორებული საპროექტო/**საკონკურსო** განაცხადის წარდგენა კომისიის მიერ განსაზღვრულ გონივრულ ვადაში."

ასევე, **ბატონი ლევანის** განმარტებით, დანართი 2-ის **მე-6 მუხლის მე-3 პუნქტი უნდა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

,,3. მსოფლიო და ევროპის ჩემპიონატებში და ოლიმპიურ თამაშებში მიღწეული წარმატებისთვის ქალაქ თბილისში ყოველი წლის პირველი იანვრისთვის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში განცხადების შემოტანის დღისთვის უწყვეტად თბილისში რეგისტრირებული სპორტსმენების დაჯილდოება შესაძლებელია შემდეგნაირად:"

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავეს ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მომრაობა" წევრმა - **ლილე ლიპარტელიანმა** და ფრაქციის „ევროპული საქართველო-თბილისი" წევრმა - **ელენე ოზაშვილმა.**

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი დადგენილების პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

4. იურიდიული და საინვესტიციო პროექტების სამსახურის უფროსმა - **ნინო კვეტენაძემ** სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი „ქალაქ თბილისში, ვარკეთილის მე-3 მასივში, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე საცხოვრებელი დანიშნულების შენობა-ნაგებობებისა და შესაბამისი ინფრასტრუქტურის მშენებლობის მიზნით უძრავი ქონების პრივატიზების თაობაზე ინტერესთა გამოხატვის პირობების მოწონების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებლის განმარტებით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტი ითვალისწინებს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში, ვარკეთილის მე-3 მასივში, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე საცხოვრებელი დანიშნულების შენობა-ნაგებობებისა და შესაბამისი ინფრასტრუქტურის მშენებლობის მიზნით უძრავი ქონების პრივატიზების თაობაზე ინტერესთა გამოხატვის პირობების მოწონებას, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის **2019 წლის 30 იანვრის განკარგულების დანართების შესაბამისად.**

როგორც **მომხსენებელმა** აღნიშნა, **ცხადდება ინტერესთა გამოხატვა** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში, ვარკეთილის მე-3 მასივში, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე საცხოვრებელი დანიშნულების შენობა-

ნაგებობებისა და შესაბამისი ინფრასტრუქტურის მშენებლობის მიზნით უძრავი ქონების პრივატიზებაზე.

ნინო კვეტენაძის თქმით, ქ. თბილისის მთავრობის ზემოაღნიშნულ განკარგულებაზე თანდართული ინტერესთა გამოხატვის პირობების თანახმად:

- ინტერესთა გამოხატვის გამოცხადების მიზანია, ამ პირობებით გათვალისწინებულ ტერიტორიაზე - ავარიულ კორპუსებში მცხოვრები ოჯახებისათვის ავარიული ბინების სანაცვლოდ, ახალი საცხოვრებელი ბინების გადაცემა.

- ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებულ პირს ქონება გადაეცემა კონკურენტული შერჩევის საფუძველზე, პირდაპირი განკარგვის ფორმით, პირობადებულ საკუთრებაში, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად.

- ინტერესთა გამოხატვა წარიმართება 5 (ხუთ) ლოტად, თითოეული ლოტი გულისხმობს სამშენებლო ფაზას არაუმეტეს 36 (ოცდათექვსმეტი) თვისა. ლოტების რიგითობას დამოუკიდებლად განსაზღვრავს გამარჯვებული პირი.

- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისთვის გადმოსაცემი საცხოვრებელი ფართის მინიმალურ ჯამურ ოდენობად განსაზღვრულია - 7500 კვ. მ. ამასთან, თითოეული ბინისთვის აივნის/ტერასის (არსებობის შემთხვევაში) ფართობი არ უნდა აღემატებოდეს ამ ბინის მთლიანი ფართის 15%-ს.

- ინტერესთა გამოხატვაში მონაწილე პირი ვალდებულია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სასარგებლოდ ერთჯერადად წარმოადგინოს უპირობო და გამოუხმობი წინა სამშენებლო საბანკო გარანტია 100 000 ლარის ოდენობით, რომლის მოქმედების ვადა არანაკლებ 4 თვით უნდა აღემატებოდეს წინა სამშენებლო პერიოდის დასრულებას. ამასთან, წინა სამშენებლო გარანტია გაცემული უნდა იყოს „ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD)" წევრ ნებისმიერ ქვეყანაში ან/და საქართველოში ლიცენზირებული ბანკის მიერ.

- ხოლო, უშუალოდ სამშენებლო საბანკო გარანტიის საწყისი (მინიმალური) ოდენობა განისაზღვრება შემდეგნაირად: A - ასაშენებელი ფართის ჯამური ოდენობა, იმ ლოტის ფარგლებში, რომელშიც გამარჯვებული პირი აპირებს ფართების გასხვისებას; B - ინტერესთა გამოხატვის ფარგლებში, ხუთივე ლოტზე ასაშენებელი ფართის ჯამური ოდენობა; C - ამ პირობების შესაბამისი პუნქტის (1.2.) თანახმად გადაცემული მიწის საპრივატიზებო საფასური საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექპერტიზის ეროვნული ბიუროს შეფასებით შეადგენს 6 987 459 (ექვსი მილიონ ცხრაას ოთხმოცდაშვიდი ათას ოთხას ორმოცდაცხრამეტი) ლარს.

- ინტერესთა გამოხატვით დაინტერესებულმა პირებმა უნდა წარმოადგინონ თავიანთი განაცხადი ინტერესთა გამოხატვის შესახებ შერჩევის პროცედურაში მონაწილეობის

მისაღებად. წინამდებარე პირობებით განსაზღვრული განაცხადის წარმოდგენის ბოლო ვადაა 2019 წლის 18 მარტი, 18:00 საათი.

დასასრულს **მომხსენებელმა** განმარტა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2019 წლის 30 იანვრის განკარგულებაზე თანდართული ინტერესთა გამოხატვის პირობებით, ასევე დეტალურად არის განსაზღვრული, მოთხოვნები დაინტერესებული პირების მიმართ; ინტერესთა გამოხატვის სქემა და ვადები, ვალდებულებები; პირგასამტეხლო; ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმები და სხვა.

აზრი გამოთქვა:

ლევან ჟორჟოლიანის თქმით, **მიზანშეწონილია** წარმოდგენილი განკარგულების პროექტის სამართლებრივ საფუძვლებში მიეთითოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2019 წლის 30 იანვრის N19.95.149 **განკარგულება.**

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარემ მიუთითა, რომ მიზანშეწონილია ინტერესთა გამოხატვის პირობებში არსებული ჩანაწერი: „ფუნდამენტური“ ყველგან შეიცვალოს, სიტყვა - „**არსებითით**“. ხოლო, სიტყვა - „**დეფექტი**“ შეიცვალოს შემდეგნაირად - „**დეფექტი/ნაკლი**“.

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავეს ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ წევრმა - **ლილე ლიპარტელიანმა** და ფრაქციის „ევროპული საქართველო-თბილისი“ წევრმა - **ელენე ოზაშვილმა.**

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

5. იურიდიული და საინვესტიციო პროექტების სამსახურის უფროსმა - **ნინო კვეტენაძემ** სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი “ქალაქ თბილისში, ვარკეთილი 3-ის დასახლების I მიკრო/რაიონში, მაგისტრალის დასაწყისის შუა ზოლში მდებარე 3123 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ: N01.19.20.001.138) გაცვლის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებლის განმარტებით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტი ითვალისწინებს, ქალაქ თბილისში, ვარკეთილი 3-ის დასახლების I მიკრო/რაიონში, მაგისტრალის დასაწყისის შუა ზოლში მდებარე 3123 კვ.მ. მიწის ნაკვეთის გაცვლის ფორმით პრივატიზებას.

როგორც მომხსენებელმა განაცხადა, 2018 წლის 31 დეკემბერს მოქალაქე რომიკა მაისურაძემ (პ/ნ:01013000897) განცხადებით მიმართა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას. განცხადებაში განმცხადებელმა აღნიშნა, რომ 2011-2012 წლებში, დღეისათვის N01.19.20.001.138 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ 3123 კვ.მ მიწის ნაკვეთი იძულებით დაათმობინეს ზეწოლის შედეგად და მის ნაცვლად, სიმბოლურ ფასად შეასყიდეს მიმდებარედ არსებული, N01.19.20.001.092 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული იგივე ფართობის უძრავი ქონება. განმცხადებელი ითხოვს სამართლიანობის აღდგენას და მის მიერ, ქალაქ თბილისის თვითმმართველი ერთეულისთვის საკუთრებაში გადაცემული უძრავი ქონების უკან დაბრუნებას. განმცხადებელი ასევე აცხადებს თანხმობას, გადასაცვლელი ნაკვეთების საბაზრო ღირებულებებს შორის გამოვლენილი სხვაობის გადახდაზე. ხოლო, თუ მის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის საბაზრო ღირებულება აღემატება მისთვის გადასაცემი უძრავი ქონების ღირებულებას, არ ექნება არავითარი პრეტენზია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მიმართ.

მომხსენებლის თქმით, სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნის მიხედვით, N01.19.20.001.138 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ 3123 კვ.მ მიწის ნაკვეთის საბაზრო ღირებულება საორიენტაციოდ განისაზღვრა 530 910 ლარის ოდენობით, ხოლო, N01.19.20.001.092 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული იგივე ფართობის უძრავი ქონების საბაზრო ღირებულება საორიენტაციოდ განისაზღვრა 624 600 ლარის ოდენობით.

დასასრულს, ნინო კვეტენაძემ აღნიშნა ის ფაქტი, რომ წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით მიმდინარეობს სასამართლო პროცესები და ამ ეტაპზე საქმე წარდგენილია უზენაეს სასამართლოში.

აზრი გამოთქვა:

კომისიის თავმჯდომარის - ლევან ჟორჟოლიანის თქმით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 12 აგვისტოს №21-85 დადგენილებით დამტკიცებული წესი, სამართლებრივ საფუძვლებში უნდა მიეთითოს შემდეგნაირად:

„ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 12 აგვისტოს N21-85 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის მე-3 პუნქტისა და მე-5 მუხლის მიხედვით“.

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავეს ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ წევრმა - ლილე ლიპარტელიანმა და ფრაქციის „ევროპული საქართველო-თბილისი“ წევრმა - ელენე ოზაშვილმა.

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და

მითითებული შენიშვნის გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

6. იურიდიული და საინვესტიციო პროექტების სამსახურის უფროსმა - **ნინო კვეტენაძემ** სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი "ქალაქ თბილისში, ლილოს დასახლება, პირველი მიკრორაიონი, კორპუს N12-ში (**საკადასტრო კოდი: N01.19.27.008.005.01.123**) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებლის განმარტებით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტი ითვალისწინებს, ქალაქ თბილისში, ლილოს დასახლება, პირველი მიკრორაიონი, კორპუს N12-ში მდებარე უძრავი ქონების **სიმბოლურ ფასად 1 (ერთი) ლარად**, მოქალაქე **ლია გულაშვილისთვის (პ/ნ 01028000191)** საკუთრებაში გადაცემას, რომელიც ხანგრძლივი დროის განმავლობაში ფლობს და სარგებლობს აღნიშნული უძრავი ქონებით.

მომხსენებლის განცხადებით, მოქალაქე ლია გულაშვილი ზემოაღნიშნულ მისამართზე ცხოვრობს 2003 წლიდან დღემდე, რაც დადასტურებულია საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ.თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ისანი-სამგორის სამმართველოს 2018 წლის 28 თებერვლის წერილითა და ასევე, ლია გულაშვილის მეზობლების ხელმოწერებით.

მომხსენებლის თქმით, წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით არსებობს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სამგორის რაიონის გამგეობის წერილობითი შუამდგომლობები, რომლითაც გამგეობა მიმართავს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერსა და სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს, მოქალაქე ლია გულაშვილისთვის მის დაინტერესებაში არსებული საცხოვრებელი ფართის საკუთრებაში გადაცემასთან დაკავშირებით.

აზრი გამოთქვა:

ლევან ჟორჟოლიანის თქმით, მიზანშეწონილია განკარგულების პროექტის პირველ პუნქტში მიეთითოს საპრივატიზებო საფასური, **„სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად"** და აღნიშნული პუნქტი ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით.

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" წევრმა - **ლილე ლიპარტელიანმა.**

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მითითებული შენიშვნის გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

7. იურიდიული და საინვესტიციო პროექტების სამსახურის უფროსმა - **ნინო კვეტენაძემ** სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი "ქალაქ თბილისში, აკაკი ბელიაშვილის ქუჩა, მე-2 ჩიხი N10-ში **(საკადასტრო კოდი: N01.13.01.006.008)** მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებლის განმარტებით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტი ითვალისწინებს, ქალაქ თბილისში, აკაკი ბელიაშვილის ქუჩა, მე-2 ჩიხი N10-ში მდებარე უძრავი ქონების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის **2019 წლის 23 იანვრის N19.42.80** განკარგულების დანართი N1-ით წარმოდგენილ ნუსხაში მითითებულ პირთათვის, პირდაპირი განკარგვის ფორმით, **სიმბოლურ ფასად - 1 (ერთ) ლარად** პრივატიზებას, ზემოაღნიშნული განკარგულების დანართი N2-ით წარმოდგენილი ხელშეკრულების პროექტის შესაბამისად.

ნინო კვეტენაძის თქმით, ზემოაღნიშნული უძრავი ქონების საკუთრებაში გადაცემით დაინტერესებული პირები, **2000-2003-2004** წლებიდან მუდმივად ცხოვრობენ აღნიშნულ მისამართზე, რაც დასტურდება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ.თბილისის პოლიციის დეპარტამენტის დიდუბე-ჩუღურეთის სამმართველოს I განყოფილების 2018 წლის 4 აპრილის წერილითა და ასევე, ამხანაგობა „ბელიაშვილის 40. კორპუსი I"-ის 2018 წლის 20 მარტის კრების ოქმით.

ნინო კვეტენაძემ ასევე განმარტა, რომ სააგენტოში წარმოდგენილ იქნა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის დიდუბის რაიონის გამგეობის წერილობითი შუამდგომლობები, ქალაქ თბილისში, აკაკი ბელიაშვილის ქუჩა, მე-2 ჩიხი N10-ში მდებარე უძრავი ქონების იმ პირთათვის საკუთრებაში გადაცემასთან დაკავშირებით, რომლებიც ხანგრძლივი დროის განმავლობაში ფლობენ და სარგებლობენ აღნიშნული უძრავი ქონებით.

დასასრულს, მომხსენებელმა აღნიშნა, რომ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მონაცემების მიხედვით, დაინტერესებულ პირებს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიეზე არ უფიქსირდებათ რეგისტრირებული ქონება (საკუთრების უფლება).

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავეს ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" წევრმა - **ლილე ლიპარტელიანმა** და ფრაქციის „ევროპული საქართველო-თბილისი" წევრმა - **ელენე ოზაშვილმა.**

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

8. იურიდიული და საინვესტიციო პროექტების სამსახურის უფროსმა - **ნინო კვეტენაძემ** სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი „ქალაქ თბილისში, გლდანში, გიორგიწმინდას დასახლებაში არსებული 600 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ: #72.13.03.588) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებლის განმარტებით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტი ითვალისწინებს, ქალაქ თბილისში, გლდანში, გიორგიწმინდას დასახლებაში არსებული 600 კვ .მ. მიწის ნაკვეთის მოქალაქე - **იაგო წიკლაურისთვის (პ/ნ: 01002009354)** საკუთრებაში გადაცემას, **შესაბამისი საპრივატიზებო პირობით.**

მომხსენებლის განცხადებით, იაგო წიკლაურმა არაერთი განცხადებით მიმართა სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს და ითხოვა დახმარება მისი რვასულიანი ოჯახის წინაშე არსებულ პრობლემურ საკითხთან დაკავშირებით. წარმოდგენილ განცხადებებში განმცხადებელი აღნიშნავს, რომ არის სოციალურად დაუცველი, პირველი ჯგუფის ინვალიდი, ჰყავს მცირეწლოვანი შვილები. განმცხადებელი ასევე განმარტავს, რომ 2002 წელს დასახლებაში მომხდარი წყალდიდობის შედეგად დაზიანდა მისი საცხოვრებელი სახლი, ტერიტორია გახდა მეწყრული ზონა.

ნინო კვეტენაძემ აღნიშნა, რომ **იაგო** წიკლაურმა თავის საკუთრებაში არსებული სახლის სანაცვლოდ, ითხოვა დახმარება გიორგიწმინდას დასახლებაში, 2000 წლიდან მის მფლობელობაში არსებული 600 კვ. მ. მიწის ნაკვეთის ლეგალიზებასა და დარეგისტრირებაში, სადაც, იგი შესაძლებლად განიხილავს სახლის აშენებას საკუთარი სახლის დემონტაჟით და ძველი მასალებით.

მომხსენებლის თქმით, სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნის თანახმად, იაგო წიკლაურის დაზიანებული საცხოვრებელი სახლის ექსპლუატაცია დაზიანების ხარისხის გათვალისწინებით, საფრთხის შემცველია და საცხოვრებლად უვარგისია. ხოლო, ნაგებობის გაძლიერება ან ახალი სახლის აშენება დაუშვებელია მეწყრული პროცესების გამო. ასევე, ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, მეწყრული პროცესებს შეჩერება მნიშვნელოვან ხარჯებთანაა დაკავშირებული.

იურიდიული და საინვესტიციო პროექტების სამსახურის უფროსის თქმით, შექმნილი სიტუაციიდან გამომდინარე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ მიზანშეწონილად მიიჩნია მეწყრულ ზონაში მდებარე, დაზიანებული ქონების მუნიციპალიტეტის საკუთრებაში გადმოცემის სანაცვლოდ, იაგო წიკლაურს, პირდაპირი განკარგვის ფორმით, **სიმბოლურ ფასად** გადაეცეს მის დაინტერესებაში არსებული 600 კვ. მ. მიწის ნაკვეთი.

წარმოდგენილი საკითხის ირგვლივ საუბრისას **მომხსენებელმა** ასევე განმარტა, რომ მოქალაქე იაგო წიკლაურის საცხოვრებელი სახლის თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში გამოცემისა და მისი დემონტაჟის შემდეგ, მუდმივი საცხოვრებლის მიღებამდე, გლდანის რაიონის გამგეობა იაგო წიკლაურს უზრუნველყოფს დროებითი საცხოვრებელი ფართით. ხოლო, რაც შეეხება დაზიანებული სახლის დემონტაჟის საკითხს,

დემონტაჟისთვის საჭირო ღონისძიებებს გამგეობა უზრუნველყოფს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის შესაბამისი დავალების მიღების შემდგომ.

დასასრულს, მომხსენებელმა განაცხადა, რომ ურბანული განვითარების საქალაქო სამსახური შესაძლებლად მიიჩნევს დაზიანებული ქონების სანაცვლოდ მოთხოვნილი მიწის ნაკვეთის სამშენებლო განვითარებას მოქმედი ფუნქციური ზონის (**საცხოვრებელი ზონა** -1) შესაბამისად, სადაც, დომინირებული სახეობაა ერთბინიანი საცხოვრებელი სახლები. თუმცა, დაინტერესებაში არსებული მიწის ნაკვეთის შემდგომი სამშენებლო განვითარება შესაძლებელი გახდება მხოლოდ მერიის შესაბამის სამსახურთან შეთანხმების შემთხვევაში.

აზრი გამოთქვა:

ერთიანი ნაციონალური მოძრაობა წევრი - **ლილე ლიპარტელიანი** დაინტერესდა, საცხოვრებელი თვალსაზრისით, რამდენად უსაფრთხოა, მეწყერულ ზონაში, დაზიანებული ქონების მომიჯნავედ მდებარე იაგო წიკლაურის დაინტერესებაში არსებული მიწის ნაკვეთი.

იურიდიული და საინვესტიციო პროექტების სამსახურის უფროსმა დაადასტურა, რომ სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნის მიხედვით, იაგო წიკლაურის მიერ მოთხოვნილი მიწის ნაკვეთი საცხოვრებლად ვარგისი და უსაფრთხოა.

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ წევრმა - **ლილე ლიპარტელიანმა.**

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

9. იურიდიული და საინვესტიციო პროექტების სამსახურის უფროსმა - **ნინო კვეტენაძემ** სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი „ქალაქ თბილისში, ლეხ კაჩინსკის ქუჩა N13-ში (**საკადასტრო კოდები: N01.17.13.022.003.01.521 და N01.17.13.022.003.01.522**) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებლის განმარტებით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტი ითვალისწინებს, ქალაქ თბილისში, ლეხ კაჩინსკის N13-ში მდებარე **119.95 კვ.მ** უძრავი ქონების, მოქალაქე ლუკა მანიჟაშვილისთვის (პ/ნ 01011078721), ხოლო, **66.89 კვ.მ** უძრავი ქონების, მოქალაქე მანანა მთივლიშვილი-ოქრომჭედლიშვილისთვის (პ/ნ 13001010860), სიმბოლურ ფასად 1

(ერთი) ლარად საკუთრებაში გადაცემას, რომლებიც ხანგრძლივი დროის განმავლობაში ფლობენ და სარგებლობენ აღნიშნული უძრავი ქონებით.

ნინო კვეტენაძის თქმით, ავლაბრის - მეტრომშენის საუბნო განყოფილების უფროსი სპეციალისტების მიერ შესრულებული შემოწმების აქტების თანახმად დასტურდება, რომ მოქალაქე მანანა მთივლიშვილი - ოქრომჭედლიშვილი 2009 წლიდან ოჯახთან ერთად ფლობს და სარგებლობს აღნიშნული უძრავი ქონებით, ხოლო მოქალაქე ლუკა მანიჟაშვილი 2004 წლიდან ოჯახთან ერთად ფლობს და სარგებლობს ზემოხსენებული უძრავი ქონებით. აღნიშნულ გარემოებას ხელმოწერით ადასტურებენ მანანა მთივლიშვილი - ოქრომჭედლიშვილისა და ლუკა მანიჟაშვილის მეზობლები.

დასასრულს, **მომხსენებელმა** აღნიშნა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ისნის რაიონის გამგეობა ადასტურებს ზემოაღნიშნული პირების მიერ ზემოხსენებული უძრავი ფართების ხანგრძლივი დროის განმავლობაში ფლობისა და სარგებლობის ფაქტს და არ არის წინააღმდეგი დაინტერესებულ პირებს ფაქტობრივად დაკავებული საცხოვრებელი ფართები გადაეცეთ საკუთრებაში **სიმბოლურ ფასად 1 (ერთი) ლარად.**

აზრი გამოთქვა:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარის თქმით, მიზანშეწონილია გასწორდეს ტექნიკური ხარვეზი **მთავრობის განკარგულების** მითითების ნაწილში და განკარგულების პროექტის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით.

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავეს ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ წევრმა - **ლილე ლიპარტელიანმა** და ფრაქციის „ევროპული საქართველო-თბილისი“ წევრმა - **ელენე ოზაშვილმა.**

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მითითებული შენიშვნის გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

10. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის - სსიპ ქონების მართვის სააგენტოს იურიდიული და საინვესტიციო პროექტების სამსახურის უფროსმა - **ნინო კვეტენაძემ** სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი „ქალაქ თბილისში, ლესელიძის ქუჩა N43-ის მიმდებარედ არსებული 244 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (ს/კ: №01.18.03.065.033) 6 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით ლალი გოჩიტაშვილისთვის (პ/ნ: 01006019038) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებლის განმარტებით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტი ითვალისწინებს, მოქალაქე ლალი გოჩიტაშვილისთვის, ქალაქ თბილისში, ლესელიძის ქუჩა N43-ის მიმდებარედ არსებული 244 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან 6 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემას, ღია კაფეს მოწყობის მიზნით, შემდეგი პირობების გათვალისწინებით:

- ✓ იჯარის მოქმედების ვადა განისაზღვრება 5 წლით.
- ✓ ხოლო, საიჯარო ქირის წლიური საფასური შეადგენს 1100 (ათას ასი) ლარს.

საკითხის წარმომდგენმა დაამატა, რომ საჯარო რეესტრის ამონაწერის მიხედვით, აღნიშნული პირის საკუთრებაშია, ქალაქ თბილისში, კოტე აფხაზის ქ. №43-ში მდებარე ფართი.

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" წევრმა - ლილე ლიპარტელიანმა.

ხოლო, კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

11. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის - სსიპ ქონების მართვის სააგენტოს იურიდიული და საინვესტიციო პროექტების სამსახურის უფროსმა - ნინო კვეტენაძემ სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი „ქალაქ თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირი N9-25ის მიმდებარედ არსებული 173 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან (ს/კ: N01.16.05.031.029) 9 კვ.მ მიწის ნაკვეთის ლევან ლიპარტელიანისთვის (პ/ნ: 53001011062) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებლის განმარტებით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტი ითვალისწინებს, მოქალაქე ლევან ლიპარტელიანისთვის, ქალაქ თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირი N9-25-ის მიმდებარედ არსებული 173 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან 9 კვ.მ მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემას, ტერასის მოწყობის მიზნით, შემდეგი პირობების გათვალისწინებით:

- ✓ იჯარის მოქმედების ვადა განისაზღვრება 5 წლით.
- ➢ ხოლო, საიჯარო ქირის წლიური საფასური შეადგენს 1 700 (ათას შვიდასი) ლარს.

საკითხის წარმომდგენმა დაამატა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის წერილით, სააგენტოში წარმოდგენილი კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოს გადაწყვეტილებით, ღია კაფეს მოწყობის საკითხს მიეცა დადებითი შეფასება.

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" წევრმა - ლილე ლიპარტელიანმა.

ხოლო, კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

12. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის - სსიპ ქონების მართვის სააგენტოს იურიდიული და საინვესტიციო პროექტების სამსახურის უფროსმა, ნინო კვეტენაძემ სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი „ქალაქ თბილისში, ალეკო გობრონიძის ქუჩა N10-ის მიმდებარედ 128 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: N01.11.13.002.251) 29 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „სამშობლოსთვის" (ს/ნ 404984228) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 7 დეკემბრის N338 განკარგულების ძალადაკარგულად გამოცხადების და ქალაქ თბილისში, ალეკო გობრონიძის ქუჩა N10-ის მიმდებარედ არსებული 128 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: N01.11.13.002.251) 14 კვ.მ საერთო ფართობის მიწის ნაკვეთების პირდაპირი განკარგვის წესით შპს „სამშობლოსთვის" (ს/ნ 404984228) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებლის თქმით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტი ითვალისწინებს ქალაქ თბილისში, ალეკო გობრონიძის ქუჩა N10-ის მიმდებარედ 14 კვ.მ. საერთო ფართობის ორი მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმებას.

როგორც მომხსენებელმა განმარტა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 7 დეკემბრის განკარგულების საფუძველზე, შპს „სამშობლოს" პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით, გადაეცა ქალაქ თბილისში, ალეკო გობრონიძის ქუჩა N10-ის მიმდებარედ არსებული 128 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (ს/კ: №01.11.13.002.251) 29 კვ.მ. საერთო ფართობის სამი მიწის ნაკვეთი - პანდუსის მოწყობის მიზნით.

ნინო კვეტენაძემ ასევე განმარტა, რომ სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსთან შესაბამისი საიჯარო ურთიერთობის გაფორმებამდე, კომპანიამ განაცხადა, რომ სამი ნაკვეთიდან ერთ-ერთი: 15 კვ.მ. მიწის ნაკვეთი აღარ ესაჭიროება პანდუსისთვის. პანდუსის მოწყობისთვის

ითხოვა დანარჩენი ორი მიწის ნაკვეთი (7 კვ.მ. ფართობებით), ხოლო 15 კვ.მ. მიწის ნაკვეთის ადგილას ითხოვა 35 კვ.მ. ფართობის ტერიტორია - ღია კაფისთვის.

მომხსენებლის თქმით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ორგანოების მხრიდან, პანდუსების მოწყობის საკითხში გათვალისწინებულ იქნა კომპანიის განახლებული პოზიცია და მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული დაინტერესებაში არსებული 14 კვ.მ. საერთო ფართობის ორი მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით შპს „სამშობლოსთვის" გადაცემა პანდუსის მოწყობის მიზნით, შემდეგი საიჯარო პირობებით:

- ✓ იჯარის მოქმედების ვადა განისაზღვრება 10 (ათი) წლით.
- ✓ ხოლო, საიჯარო ქირის წლიური საფასური შეადგენს 1 700 (ათას შვიდასი) ლარს.

მომხსენებელმა საკითხის ირგვლივ საუბრისას აღნიშნა, რომ რაც შეეხება მოთხოვნილი 35 კვ.მ. ფართობის ტერიტორიაზე ღია კაფის მოწყობას, საკითხი საჭიროებს გარკვეული დოკუმენტაციის წარმოდგენას, რის შემდეგაც შესაძლებელი გახდება საკითხის შემდგომი განხილვა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ორგანოების მხრიდან.

დასასრულს, ნინო კვეტენაძემ განმარტა, რომ წარმოდგენილი განკარგულების პროექტით ძალადაკარგულად ცხადდება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2018 წლის 7 დეკემბრის #338 განკარგულება.

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" წევრმა - ლილე ლიპარტელიანმა.

ხოლო, კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

13. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის - სსიპ ქონების მართვის სააგენტოს იურიდიული და საინვესტიციო პროექტების სამსახურის უფროსმა - ნინო კვეტენაძემ სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი "ქალაქ თბილისში, დ.აღმაშენებლის გამზირი № 31-41-ის მიმდებარედ არსებული 193 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან (ს/კ: №01.16.05.026.024) 15 კვ.მ. მიწის ნაკვეთის შპს „სთარ"- ისთვის (ს/ნ: 406178381) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებლის განმარტებით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტი ითვალისწინებს, შპს „სთარ"- ისთვის ქალაქ თბილისში, დ. აღმაშენებლის გამზირი № 31-41-ის მიმდებარედ არსებული 193 კვ. მ. მიწის ნაკვეთიდან, 15 კვ. მ. მიწის ნაკვეთის სარგებლობის უფლებით

იჯარის ფორმით გადაცემას, ღია კაფეს მოწყობის მიზნით, შემდეგი პირობების გათვალისწინებით:

- ✓ იჯარის მოქმედების ვადა განისაზღვრება - 2019 წლის 1 დეკემბრამდე.
- ➢ ხოლო, საიჯარო ქირის წლიური საფასური შეადგენს 2700 (ორი ათას შვიდასი) ლარს.

საკითხის წარმომდგენმა დაამატა, რომ შპს „სთარი" იჯარით ფლობს უძრავ ქონებას (ს/კ: 01.16.05.026.004.01.504), რომელიც მდებარეობს დაინტერესებაში არსებული უძრავი ქონების მიმდებარედ.

აზრი გამოთქვა:

კომისიის თავმჯდომარის - ლევან ჟორჟოლიანის თქმით, მიზანშეწონილია წარმოდგენილი განკარგულების პროექტის სათაური შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

ქალაქ თბილისში, დ. აღმაშენებლის გამზირი № 31-41-ის მიმდებარედ არსებული 193 კვ. მ. მიწის ნაკვეთიდან (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: № 01.16.05.026.024) 15 კვ. მ. მიწის ნაკვეთის შპს „სთარისთვის" (საიდენტიფიკაციო ნომერი: 406178381) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე

კომისიის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ წარმოდგენილი განკარგულების პროექტის პირველ პუნქტში არასწორად არის მოხსენიებული ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2019 წლის 16 იანვრის № 19.20.20 განკარგულება, აღნიშნული უნდა გასწორდეს და წარმოდგენილი განკარგულების პროექტის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით.

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" წევრმა - ლილე ლიპარტელიანმა.

ხოლო, კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

14. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსმა - გაიოზ თალაკვაძემ სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი „კომერციულ ბანკში საკრედიტო ხაზის გახსნის მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობისათვის თანხმობის მიცემის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებლის თქმით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტი ითვალისწინებს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის უფლებამოსილების ფარგლებში კაპიტალური ინვესტიციების განხორციელებისთვის **62 820 000 (სამოცდაორი მილიონ რვაასი ათასი) ლარის ოდენობით კომერციულ ბანკში საკრედიტო ხაზის გახსნას.**

მომხსენებლის განმარტებით, 2019 წელს ქალაქ თბილისში მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული პროექტებია დაგეგმილი, კერძოდ: კახეთის გზატკეცილისა და მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლის შენობის რეაბილიტაცია, ქალაქის განვითარების ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში - ვირის ხიდის აღდგენა/მშენებლობა, ფიროსმანის, გუდიაშვილის, გორგასლის ქუჩების და ორბელიანის მოედანზე ორი ობიექტის რეაბილიტაცია, სერვისცენტრების რეაბილიტაცია/მოდერნიზაცია.

როგორც ბატონმა **გაიოზმა** განაცხადა, აღნიშნული პროექტების დაფინანსება ცენტრალური ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრებით მოხდება, რაც დაახლოებით 100 მილიონ ლარს შეადგენს. ბატონი გაიოზის თქმით, ტრანსფერი, რომელიც აღნიშნული პროექტების განსახორციელებლად არის განსაზღვრული, წლის შუა პერიოდში ჩაირიცხება. აქედან გამომდინარე, ვინაიდან ინფრასტრუქტურული სამუშაოების განხორციელებისთვის აქტიური პერიოდი ზაფხულია, საჭიროა ტენდერების დროულად გამოცხადება. სწორედ ამიტომ თბილისის მერიამ აქტიურად იმუშავა საფინანსო სექტორთან, აღნიშნული ტრანსფერის მიღებამდე გახსნას საკრედიტო ხაზი 62 მილიონი ლარის ოდენობით, რაც იძლევა წინასწარი სამუშაოების წარმოების შესაძლებლობას.

დასასრულს, **მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსმა,** აღნიშნული საკრედიტო ხაზიდან, პროექტების განსახორციელებლად, დაახლოებით 5 მილიონის ფაქტობრივი ხარჯი ივარაუდა.

აზრი გამოთქვა:

კომისიის თავმჯდომარემ - ლევან ჟორჟოლიანმა ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ წარმოდგენილი საკრედიტო ხაზი მოხმარდება ქალაქისთვის მნიშვნელოვან ინფრასტრუქტურულ პროექტებს, როგორიცაა: ვირის ხიდის აღდგენა, ფიროსმანის, გუდიაშვილისა და გორგასლის ქუჩების რეაბილიტაცია და სხვა.

კომისიის თავმჯდომარის თქმით, განკარგულების პროექტის სამართლებრივ საფუძვლებში უნდა მიეთითოს საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" **68-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტი,** რომლის თანახმად, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო უფლებამოსილია, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ამ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში, ქ. თბილისის მთავრობას მისცეს თანხმობა სესხის აღებასთან დაკავშირებით.

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავეს ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" წევრმა - **ლილე ლიპარტელიანმა** და ფრაქციის „ევროპული საქართველო-თბილისი" წევრმა - **ელენე ოზაშვილმა.**

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მითითებული შენიშვნის გათვალისწინებით მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

15. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსმა - **გაიოზ თალაკვაძემ** სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი „საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტს და შპს „თბილსერვის ჯგუფს" შორის „თბილისის მყარი ნარჩენების პროექტთან დაკავშირებით" ქვესასესხო ხელშეკრულების გაფორმებაზე თანხმობის მიცემის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებლის განმარტებით, საქართველოსა და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკს (EBRD) შორის **„თბილისის მყარი ნარჩენების პროექტთან დაკავშირებით"** 2018 წლის 27 ნოემბერს ხელი მოეწერა სასესხო შეთანხმებას 15 000 000 (თხუთმეტი მილიონი) ევროზე. აღსანიშნავია, რომ პროექტთან დაკავშირებით, იმავე დღეს გაფორმდა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტსა და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკს (EBRD) შორის პროექტის მხარდაჭერის, ხოლო შპს „თბილსერვის ჯგუფს" და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკს (EBRD) შორის საპროექტო ხელშეკრულებები.

გაიოზ თალაკვაძის თქმით, **წარმოდგენილი** პროექტის თანახმად, **საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, სასესხო შეთანხმების საფუძველზე და სასესხო პირობების გათვალისწინებით, გადასცემს თბილისის მუნიციპალიტეტს სასესხო შეთანხმებით, 15 000 000 (თხუთმეტი** მილიონი) ევროს, სასესხო შეთანხმებით, საპროექტო ხელშეკრულებით და პროექტის მხარდაჭერის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ღონისძიებების დასაფინანსებლად.

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავეს ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" **წევრმა - ლილე ლიპარტელიანმა** და ფრაქციის „ევროპული საქართველო-თბილისი" **წევრმა - ელენე ოზაშვილმა.**

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

16. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის უფროსმა - **ვასილ აბულაძემ** სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის

მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 იანვრის N10-14 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

მომხსენებლის განმარტებით, 2018 წლის 4 მაისს, პარლამენტის მიერ მთელ რიგ საკანონმდებლო აქტებში განხორციელებული ცვლილებების საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო შესაბამისი სამართლებრივი აქტები, რომლის საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახური განისაზღვრა საქართველოს დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში მსუბუქი ავტომობილით – ტაქსით (M_1 კატეგორია) გადაყვანაზე ნებართვის გამცემად.

მომხსენებლის თქმით, ზემოაღნიშნული ცვლილებების საფუძველზე: საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 135[2] მუხლით, 135[3] მუხლის პირველი ნაწილით და 135[4] მუხლით გათვალისწინებული სამართალდარღვევებისას საჯარიმო ქვითრის - ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შედგენის უფლებამოსილება მიენიჭა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურს.

ამასთან, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახური განისაზღვრა საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-8 ნაწილით , 125[2] მუხლით, 130-ე მუხლის მე-4 ნაწილის “ა” ქვეპუნქტით, 135-ე–135[4] მუხლებით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალ დარღვევებისათვის შეფარდებული ადმინისტრაციული სახდელის (ჯარიმის) ან/და საურავის დარიცხვის შესახებ დადგენილების ზემდგომ ორგანოში (თანამდებობის პირთან) გასაჩივრებისას, საჩივრის განმხილველ და გადაწყვეტილების მიმღებ სამსახურად.

დასასრულს, ბატონმა აბულაძემ განმარტა, რომ ზემოაღნიშნული ცვლილებებიდან გამომდინარე, შემუშავდა წარმოდგენილი დადგენილების პროექტი, რომლის მიღება არ გამოიწვევს დამატებითი სახსრების გამოყოფას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან

აზრი გამოთქვა:

კომისიის თავმჯდომარის - ლევან ჟორჟოლიანის თქმით, დადგენილების პრეამბულაში სამართლებრივ საფუძვლად ასევე უნდა მიეთითოს საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტი.

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავეს ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ წევრმა - ლილე ლიპარტელიანმა და ფრაქციის „ევროპული საქართველო-თბილისი“ წევრმა - ელენე ოზაშვილმა.

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი დადგენილების პროექტს და

მითითებული შენიშვნის გათვალისწინებით მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

17. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის უფროსმა - **ვასილ აბულაძემ** სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულების საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 იანვრის #10-19 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

მომხსენებლის თქმით, მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის ერთ-ერთ სტრუქტურულ ქვედანაყოფს, კერძოდ, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმისწარმოების განყოფილებას ეცვლება სახელწოდება და ეწოდება **ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმისწარმოების და სამართლებრივი უზრუნველყოფის** განყოფილება.

მომხსენებელმა იქვე დასძინა, რომ ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საჭირო გახდა ცვლილების შეტანა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 იანვრის №10-19 დადგენილებაში.

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავეს ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ წევრმა - **ლილე ლიპარტელიანმა** და ფრაქციის „ევროპული საქართველო-თბილისი“ წევრმა - **ელენე ოზაშვილმა.**

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი დადგენილების პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

18. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის უფროსმა - **ვასილ აბულაძემ** სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი **“საქართველოს დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში მსუბუქი ავტომობილით – ტაქსით (M1 კატეგორია) გადაყვანის სანებართვო პირობების, ნებართვის გაცემის წესის, ნებართვის მოქმედების ვადის, ნებართვის გაცემის ფასისა და მისი გადახდის წესის, სანებართვო მოწმობის ფორმის, ნებართვის მქონე პირების შესახებ ერთიანი საინფორმაციო ბაზის შექმნის, განახლების და დამუშავების წესის განსაზღვრის შესახებ“** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 27 ივლისის №24-80 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე დადგენილების პროექტი.

მომხსენებლის განმარტებით, წარმოდგენილი პროექტით ცვლილება შედის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 27 ივლისის №24-80 დადგენილებაში. ცვლილების მიზეზია ის გარემოება, რომ აღნიშნული დადგენილებით, საქართველოს დედაქალაქში, მსუბუქი ავტომობილით-ტაქსით (M_1 კატეგორია) გადაყვანის ნებართვის გაცემის ფასი თითოეულ სატრანსპორტო საშუალებაზე და ჰიბრიდული მსუბუქი ავტომობილების შემთხვევაში განსაზღვრული იყო ნებართვის გაცემის დღიდან 2019 წლის პირველ ოქტომბრამდე, რის გამოც საჭირო გახდა ნებართვის გაცემის ფასის განსაზღვრა **2019 წლის პირველი ოქტომბრიდან.**

ამასთან, **დადგენილებით დამტკიცებულ წესში,** შედის შესაბამისი ცვლილება, რითაც დაზუსტდება ყველა ის ინფორმაცია, რომელიც უნდა იკითხებოდეს სწრაფი გამოხმაურების კოდზე (QR კოდზე).

დასასრულს, **ბატონმა აბულაძემ** განმარტა, რომ წარმოდგენილი დადგენილების პროექტის მიღება არ გამოიწვევს დამატებითი ხარჯების გამოყოფას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან.

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავეს ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ წევრმა - **ლილე ლიპარტელიანმა** და ფრაქციის „ევროპული საქართველო-თბილისი“ წევრმა - **ელენე ოზაშვილმა.**

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი დადგენილების პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

19. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის უფროსმა - **ვასილ აბულაძემ** სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი „საქართველოს დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში მსუბუქი ავტომობილით – ტაქსით (M1 კატეგორია) გადაყვანის სანებართვო პირობების, ნებართვის გაცემის წესის, ნებართვის მოქმედების ვადის, ნებართვის გაცემის ფასისა და მისი გადახდის წესის, სანებართვო მოწმობის ფორმის, ნებართვის მქონე პირების შესახებ ერთიანი საინფორმაციო ბაზის შექმნის, განახლების და დამუშავების წესის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 27 ივლისის №24-80 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 7 დეკემბრის №32-110 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

მომხსენებლის განმარტებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს **2018 წლის 27 ივლისის №24-80** დადგენილებაში შესაბამისი ცვლილების შეტანის შემდეგ, საჭირო გახდა, დადგენილებით დამტკიცებული წესის დანართით გათვალისწინებულ

ტაქსის აღმნიშვნელ მანათობელ ნიშანში შესაბამისი კორექტივების შეტანა. კერძოდ, ზუსტდება, რომ სანებართვო საქმიანობის განხორციელებისას, მანათობელ ნიშანზე ჩართული უნდა იყოს მწვანე ფერი, იმ შემთხვევაში, როდესაც ნებართვის მფლობელს მგზავრი არ ჰყავს, ხოლო, წითელი ფერი იმ შემთხვევაში, როდესაც მგზავრი ჰყავს ან გამომახებულია მგზავრის მიერ, ნებართვის მფლობელი ვალდებულია დაიცვას ეს სანებართვო პირობა. ამავე დროს, დგინდება, რომ „A" კატეგორიის ნებართვის პირველად გაცემის შემდეგ, ნებართვის მფლობელს ნებართვის გამცემის მიერ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მიერ დადგენილი წესით, ერთჯერადად უსასყიდლოდ გადაეცემა მანათობელი ნიშანი, ხოლო მანათობელი ნიშნის მეორე და ყოველი მომდევნო გაცემა ხდება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მიერ დადგენილი წესით და გაცემის საფასური განისაზღვრება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მიერვე.

ასევე, **მომხსენებლის** თქმით, ნებართვის მფლობელის ვალდებულებებში ზუსტდება სანებართვო პირობა და მომსახურების გაწევისას, იმ შემთხვევაში, როდესაც სატრანსპორტო საშუალების ძარის ზედა ნაწილი (სახურავი) შუშისაა (პანორამა), ნებართვის მფლობელმა მანათობელი ნიშანი შეიძლება განათავსოს სატრანსპორტო საშუალების ძარის ზედა ნაწილზე (სახურავზე). ასევე, დგინდება, რომ ნებართვის მფლობელის მიერ სანებართვო პირობების შეუსრულებლობა გამოიწვევს მის დაჯარიმებას საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ხოლო, ნებართვის მფლობელმა, დარღვეული სანებართვო პირობა უნდა გამოასწოროს 2 კალენდარული დღის ვადაში.

დასასრულს, **ბატონმა აბულაძემ** განმარტა, რომ წარმოდგენილი პროექტი შეთანხმებულია საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსთან და მისი ამოქმედებისთვის საჭიროა დამატებითი საბიუჯეტო სახსრები.

აზრი გამოთქვა:

კომისიის თავმჯდომარემ - ლევან ჟორჟოლიანმა განმარტა, რომ წარმოდგენილი დადგენილების პროექტში უნდა გასწორდეს ტექნიკური ხასიათის ხარვეზები. კერძოდ, დადგენილების პროექტის პირველი მუხლის „ა" პუნქტში არსებული ჩანაწერი: „ა" ქვეპუნქტი შეიცვალოს - **„ა" პუნქტით,** ხოლო, „ე" ქვეპუნქტის" ნაცვლად, მიეთითოს **„ე" პუნქტი.** - ასევე, პროექტის პირველი მუხლის „გ" პუნქტში აღნიშნული: „დ" ქვეპუნქტის ნაცვლად, მიეთითოს - **„დ" პუნქტი.**

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავეს ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" წევრმა - **ლილე ლიპარტელიანმა** და ფრაქციის „ევროპული საქართველო-თბილისი" წევრმა - **ელენე ოზაშვილმა.**

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი დადგენილების პროექტს და მითითებული შენიშვნის გათვალისწინებით მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების ამოწურვის შემდეგ, სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე	ლევან ჟორჟოლიანი
სხდომის მდივანი	ნინო ჯალაღანია